განკარგულება №--

ქ. ოზურგეთი -- აგვისტო 2024 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების შესაბამისად საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი1.სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ : საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

მუხლი2.განისაზღვროს ადგილები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

მუხლი3.ამ განკარგულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზეც, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი4.ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით;

მუხლი5.დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალის განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

მუხლი6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14);

მუხლი7.ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 აგვისტოს N45 განკარგულება ;

მუხლი8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია